

ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი (III)



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი

პროფესიული განათლების საფეხური: მესამე საფეხური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მოცულობა: 70 კრედიტი (1750 საათი); 9,5 თვე

თეორიული სწავლება 60% - 42 კრედიტი (1050საათი)

პრაქტიკული სწავლება 40% - 28 კრედიტი (700 საათი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც დასრულებული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და ჩაბარებული აქვს ტესტირება უნარებისა და საბაზისო ცოდნის ნაწილში გამოცდების ეროვნულ ცენტრში

პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს სტუდენტი ვეტერინარული მომსახურების სპეციალობაში.

პროგრამის ამოცანაა კურსდამთავრებულს ჰქონდეს ისეთი შრომითი პოტენციალი, რომ შეეძლოს ვეტერინარი ექიმის ასისტირება ცხოველებისა და ფრინველების დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების პროცესში.

სწავლის შედეგი:

ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი III საფეხური

ცოდნა და გაცნობიერება	იცის: <ul style="list-style-type: none">• ცხოველებისა და ფრინველების ანატომია და ფიზიოლოგია; მათი სახეობრივი თავისებურებები; დაავადებები (მათ შორის ადამიანისა და ცხოველის საერთო) და პათოლოგიური პროცესები, რომლითაც ცხოველები და ფრინველები ავადდებიან; ცხოველისა და ფრინველის ფიქსაციის მეთოდები და წესები; გამოსაკვლევ გარემოებათა იდენტიფიცირების მეთოდები.• ცხოველებისა და ფრინველების დაავადებათა დიაგნოსტიკა, მკურნალობისა და პროფილაქტიკური
------------------------------	--

	<p>ლონისძიებების გატარება.</p> <ul style="list-style-type: none"> პირადი და გარემოს უსაფრთხოების, სავეტერინარო კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები;
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შემდეგს:</p> <ul style="list-style-type: none"> ცხოველისა და ფრინველის დაავადებების შესახებ პატრონისგან ანამნეზური მონაცემების შეგროვებას და მისი მიზნობრივი გამოყენებას; ცხოველებისა და ფრინველების მომზადებას სხვადასხვა სახის ვეტერინარიული მანიპულაციების ჩასატარებლად; სამკურნალო წამლო და პროფილაქტიკური საშუალებების მიზნობრივი გამოყენებას; ცხოველების ფიქსაციას; ჩატარებული ვეტერინარიული მომსახურების რეგისტრაციას; ვეტერინარი ექიმის ასისტირებას მკურნალობის კურსის ჩატარებაში; ინექციის განხორციელებას ვეტერინარი ექიმის ზედამხედველობის ქვეშ.
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შემდეგს :</p> <ul style="list-style-type: none"> მიღებულ ინფორმაციას გაუკეთოს ანალიზი და გააკეთოს სწორი დასკვნები. მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები. მოამზადოს ინფორმაცია ჩატარებული მუშაობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ვეტერინარი ექიმს.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შემდეგს:</p> <ul style="list-style-type: none"> ცხოველის პატრონის ინფორმირებას პაციენტისათვის დაგეგმილი ვეტერინარიული პროცედურების, მკურნალობის ეფექტურობისა და მოსალოდნელი გართულების შესახებ, ასევე კლიენტისათვის რჩევის მიცემას ცხოველის და ფრინველის მოვლის თაობაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობას, ჩატარებული სამუშაოს შეფასებას, ანგარიშის მომზადებას და წარდგენას. საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებას ვეტერინარიის საკითხებზე ახალი ინფორმაციის მოსაპოვებლად და გადასაცემად.
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შემდეგს:</p> <ul style="list-style-type: none"> დამოუკიდებლად ვეტერინარიული საქმიანობის შესახებ ახალი ინფორმაციისა და ცოდნის მიღებას. დაგეგმოს საკუთარი სწავლა და განსაზღვროს შემდგომი სწავლებისათვის აუცილებელი მოთხოვნები.
<p>ღირებულებები</p>	<p>უყვარს ცხოველები და ფრინველები. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს. უნარი შესწევს წარმატებით ჩაერთოს ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში. გაცნობიერებული აქვს დარგის სპეციფიკა და მისი სოციალური მნიშვნელობა.</p>

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- საწარმოო პრაქტიკას
- დამოუკიდებელ სამუშაოს
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი
- ზეპირი გამოკითხვა
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება

სწავლების მეთოდები

- თეორიული სწავლება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- სასწავლო პრაქტიკა
- საწარმოო პრაქტიკა

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სტუდენტს აქვს უფლება გააგრძელოს სწავლა ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეოთხე საფეხურზე.